ოქმი:**ო03. 3723213001**

თარიღი:**01/08/2023**

ოქმი № 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2023 წელი, 31 ივლისი

ქ.ოზურგეთი

13.00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ნ. ქარჩავა, ქ. ხომერიკი, ლ. ბიგვავა, ც. ქარცივაძე, ბ. მელუა, ტ. არეშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის გეგმის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

მომხსენებელმა, გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის გეგმის შესრულების შესახებ“, ხოლო უფრო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ,

რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის მეორე კვარტლის შემოსულობები და ხარჯები, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაციის თაობაზე შეკითხვა დასვა კომისიის წევრმა ს. ქარცივაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ-ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. დამტკიცდეს კომისის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N2 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მორიგ სხდომებზე განსახილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე